საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
საქართველოს

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 9308/01
01/09/2021

9308-01-2-202109011631

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“
მის: ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქ. N5
ელ. ფოსტა: info@water.gov.ge

სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 18 აგვისტოს N14715 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ონის მუნიციპალიტეტში, წყალმომარაგების სათავე ნაგებობის და მიმდებარე ტერიტორიის ნაპირსამაგრი (ნაპირდაცვითი) სამუშაოების განხორციელებას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებასა და თანდართულ განმარტებით ბარათში სწორედ არ არის მოცემული ქვანაყარი ბერმის ამგები ქვების ფრაქციული შემადგენლობა პროცენტების მიხედვით. ნორმატიული დოკუმენტაციის მიხედვით, ქვანაყარი ბერმის ამგების ქვის ფრაქციული შემადგენლობა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს: 0.9 d - დან 1,1 d -მდე ≥ 60%, 0.5 d - დან 0,9 d -მდე ≤ 20% და 1,1 d - დან 1,5 d -მდე ≤ 20%. იმ შემთხვევაში თუ საანგარიშო ქვის დიამეტრი შეადგენს 1,34 მ, მაშინ ქვები უნდა გადანაწილდეს შემდეგნაირად: 1,2 მ-დან 1,5 მ-მდე ≥ 60%, 0,7 მ-დან 1,2 მ-მდე ≤ 20%, 1,5 მ-დან 2,0 მ-მდე ≤ 20%. შესაბამისად, აღნიშნული გაანგარიშება საჭიროებს დაზუსტებას/კორექტირებას.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ქვანაყარი ბერმის ფუძის ნიშნული არ შეესაბამება კალაპოტის წარეცხვის მაქსიმალურ დონეს, ასევე არ არის გათვალისწინებული წარეცხვაზე შესაბამისი მარაგი, ხოლო ქვების საანგარიშო მოცულობა 1 გრძ. მ-ზე არ შეესაბამება კალაპოტის წარეცხვის დონის შესაბამის მოცულობას. შესაბამისად, ზემოაღნიშნული საკითხები საჭიროებს დაზუსტებას.

სამინისტრო სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით იმსჯელებს აღნიშნული შენიშვნების შესაბამისად შესწორებული სრულყოფილი სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე